

ავტორი: ანაბელ-ლი

ქანრი: პროზა

გამოქვეყნების დრო: 2018-06-25 22:53:54

მე

ბავშობიდან ასე იყო ყოველთვის რაღაც მაკლდა, ყოველთვის რაღაც მაწუხებდა . ალბათ ეს საკუთარ თავთან ბრძოლაზე მეტი იყო. როგორ მინდოდა სადმე მარტო გადავკარგულიყავი , იქ სადაც არავინ და არაფერი შემაწუხებდა ქვეყანაზე. ალბათ, ეს განცდა იყო ის რაც მაფიქრებდა რომ შეიძლებოდა ერთ დღეს მეც მეპოვნა სულის თავისუფლება.

არც სკოლა და არც უნივერსიტეტი არ მაძლევდა იმის საშუალებას რომ მესუნთქა. თითქოს რაღაც მახრჩობდა, რაღაც მკლავდა და ეგოისტურ ისევ მარტოხელა სამყაროსკენ მასწრაფებდა.

ცხოვრება ქვევრივით არის , ხო რასაც ჩასძახებ იმას ამოვძახებს. მე კი ისე მინდოდა სადმე აქედან შორს გადახვეწა, რომ ძალიან მალე აღმოჩნდი სრულიად უცნობ გარემოში . უცნობ ქვეყანაში. ყველაფერი თავიდან უნდა დამეწყო. მახსოვს , პირველად რომ გავიბარე რა ხდებოდა ჩემ ს თავს , შიშმა ამიგანა , გახსნილ იატაკზე დაგდებულ ჩანთს რომ დავაკვირდი მივხვდი , რომ ყველაფერი ისე მარტივი არ იქნებოდა , როგორც წარმომედგინა. ერთი საკუთრ თავს შევძახე “ ასე შორს რა ჯანდაბა გინდა მეთქი ” და მალევე რეალობას დავუბრუნდი. იქვე ყველაზე ახლოს მდგარ კრელოზე ჩამოვჯექი და ფიქრს მივეცი . მალე ჩამეძინა. მეგონა რომ თუ ამ სამყოფელს გავეშორდებოდი , სხვაგან ყველაფერი კარგად იქნებოდა, ბედნიერად ვიგრძნობდი თავს და ვიპოვიდი იმას რასაც ყოველთვის ვეძებდი. ისევ არ გამიმართლა, ყოველი დღე წინაზე უარესი იყო, ახლა უფრო მეტი ტკივილი მეგრძობდა , ახლა უფრო მეტი რამ მაწუხებდა . გირილი კი არა ბლავილი მინდოდა ხოლმე ერთადერთი გამოსავალი გაქცევა მეგონა ... მაგრამ ის უარესი, ბევრად უფრო უარსი აღმოჩნდა.....

დავრუნდი , შიში , აუტანელი ტკივილი შიგნით სადღაც სულ შიგნით ისევ მღრღნიდა და თავს არ მანებდებდა. ვერ ვსუნთქავდი , რაღაც მახრჩობდა , არა მარტო შინაგანად , არა ამ ყველაფერს გარეგნული ნიშნებიც დაემატა და ხანდახან მეგონა ესაა ვსო ეხლა დავასრულებ ცხოვრებას მეთქი.....

და მერე ყველაფერი შეიცვალა. მისი ხასიათი , ცხოვრების სტილი, მისი მისწრაფებები და ემოციები საოცრად მათბობდა. შიგნიდან მიშენებდა დანგრეულ, დანაწევრებულ კედლებს. მისი სიტყვები , ღიმილი და ჩახუტება ერთიანად მავიწყდება ამდენწლიან ტკივილს. მას შეეძლო მიველე ისეთი როგორიც ვიყავი, მას მხოლოდ მას შეეძლო მოესმინა და გაეგო ჩემთვის. ის ყველაზე განსხვავებული იყო. საოცრად მამაცი , დინჯი გაწონასწორებული. მოსიყვარულე და ძალიან თბილი. ჩემი სიტყვებიც კი არ იყო საჭირო, რომ ყველაფერი ესმოდა , იგებდა იამრებდა და აღუწერელ ძალას მაძლევდა. ხანდახან ვერ ვხვდებოდი , მე ასე ძალიან რატომ გამიმართლა მეთქი ? განა ასეთი საოცარი რა გამიკეთებია , რომ მე ის შემხვდათქო ? მას კი ეგონა , რომ ის იყო იღბლიანი , რადგან მე ვყავდი.

გაგეცინებათ და მან საერთოდ არც კი იცის ამის შესახებ. არ იცის რომ საოცრად მიყვარს, რომ საოცრად ველი ყოველ წუთს , რომ გამოჩნდეს და ჩემი ცხოვრების მთავარ მამოძავებელ ძალად იქცეს.

და იცი რა ცხოვრებაზე ? ღირდა , ჩემი ყოველი ცრემლი , დარდი და ვარაში ღირდა , იმისთვის რომ ის , ასეთი საოცარი, კეთილი, მზრუნველი გამოჩენილიყო ჩემს ცხოვრებაში. მაღლობა !